თბილისის ახალგაზრდულ სახელოვნებო ბაზრობაში მონაწილეობის წესები და პირობები

ტერმინების განმარტება

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „ორგანიზატორი“ - ა(ა)იპ კულტურის და განათლების ფონდი

ბ) „მონაწილე/აპლიკანტი“ - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ავსებს განაცხადს და მონაწილეობს შერჩევის პროცესში

გ) „გამოფენა/ღონისძიება/TYAM“ – თბილისის ახალგაზრდული სახელოვნებო ბაზრობა

დ) „ნამუშევარი“ – მონაწილეს მიერ წარმოდგენილი ხელოვნების ობიექტი ან პროექტი

მოთხოვნები არტისტების, ახალგაზრდული 17-25 წლამდე და დამწყები 25+ სექციებისთვის:

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ახალგაზრდა და დამწყებ ("ემერჯინგ") ხელოვანებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) მათი ძირითადი პრაქტიკა უკავშირდება თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებას (ფერწერა, გრაფიკა, ინსტალაცია, მედიახელოვნება, ვიდეო არტი, ქანდაკება, კერამიკა, დიზაინი, ფოტო ხელოვნება, თანამედროვე მოდის, თეატრისა და კინოს მხატვრობა და სხვა თანამედროვე ფორმები)

ბ) არ არიან წარმოდგენილნი კომერციულ გალერეაში მუდმივი კონტრაქტით

1. განაცხადის მიღების პროცედურა

მიიღება მხოლოდ თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ნიმუშები. აღნიშნული მოიცავს:

ა) ნახატებს, აკვარელს, გუაშს, ესკიზებსა და ნახაზებს;

ბ) ორიგინალურ გრაფიკას;

გ) ორიგინალურ ქანდაკებებსა და ობიექტებს;

დ) ექსპერიმენტული და თანამედროვე ხელოვნების ავანგარდული ნიმუშები;

ე) ფოტოხელოვნების ნიმუშები, დოკუმენტური ფოტოები, ვიდეო და ციფრული ხელოვნების ნიმუშები.

არ მიიღება შემდეგი ტიპის ნამუშევრები:

ა) ყალბი, არაორიგინალი ან/და სხვა პირის ინტელექტუალური საკუთრების დარღვევით შექმნილი ნიმუშები, მათ შორის, ისეთი ნიმუშები, რომელთა ავტორობა ვერ დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებით;
ბ) აღდგენილი, რესტავრირებული, მოდიფიცირებული ან/და ისეთი ნამუშევრები, რომელთა პირვანდელი სახე არსებითად შეცვლილია, ასევე დაზიანებული ნიმუშები, რომლებიც არ შეესაბამება საგამოფენო სტანდარტებს;
გ) გამოყენებითი ხელოვნების კატეგორიის ნიმუშები. მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ძვირფასეულობა, დეკორატიული ან/და კომერციული დანიშნულების ობიექტები და სხვ;
დ) ეთნოგრაფიული, ფოლკლორული ან ტრადიციული ხასიათის ხელოვნების ნიმუშები, მათ შორის გობელინები და ანალოგიური ფორმატები, რომლებიც არ მიეკუთვნება თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების პრაქტიკას;
ე) ნამუშევრები, რომლებიც დასრულებულია ავტორის გარდაცვალების შემდეგ ან შექმნილია მესამე პირის მიერ ავტორის სახელით;
ვ)ნამუშევრები, რომლებიც არღვევს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას ან მესამე პირის უფლებებს (მათ შორის, პერსონალურ მონაცემებს, გამოსახულების უფლებას, სავაჭრო ნიშანს და სხვა);
ზ) ნამუშევრები, რომლებიც შეიცავს სიძულვილის ენას, დისკრიმინაციულ, ძალადობრივ, პორნოგრაფიულ ან სხვა ეთიკურად მიუღებელ შინაარსს;
თ) ნამუშევრები, რომლებიც ტექნიკურად ან ფიზიკურად არ შეესაბამება საგამოფენო სივრცის უსაფრთხოების, ტექნიკურ ან ოპერაციულ მოთხოვნებს;
ი) ნამუშევრები, რომელთა ტრანსპორტირება, მონტაჟი ან დემონტაჟი დაკავშირებულია არაპროპორციულ ტექნიკურ სირთულეებთან ან საფრთხეს უქმნის სხვა ექსპონატებსა და ვიზიტორებს;
კ) ნამუშევრები, რომლებიც წინასწარ არ არის დეკლარირებული განაცხადში ან მნიშვნელოვნად განსხვავდება წარმოდგენილი მასალისგან;
ლ) მასობრივი წარმოების, რეპროდუქციის ან სერიული პროდუქციის ნიმუშები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს წარმოადგენს ავტორის კონცეპტუალური პრაქტიკის ნაწილს და წინასწარ არის შეთანხმებული ორგანიზატორთან.

2. განაცხადის გაგზავნა

განაცხადი უნდა გაიგზავნოს TYAM-ის ელექტრონულად შესავსები ფორმის მეშვეობით. ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენით, არაუგვიანეს 2026 წლის 15 ივნისისა;

სრულყოფილი განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:
ა) შევსებულ და ხელმოწერილ განაცხადის ფორმას;

ბ) ხელოვანის ბიოგრაფიას, რომელიც უნდა შეიცავდეს მის მიერ მნიშვნელოვან ინდივიდუალურ ან ჯგუფურ გამოფენებში, ან ხელოვნების ნიმუშების გამოფენა გაყიდვებში მონაწილეობის სიას; ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ნიმუშების შეფასებისთვის საჭირო ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინფორმაცია;
გ) ხელოვანის მაქსიმუმ 10 ფოტო – მნიშვნელოვანია არტისტის სახელის, დასახელების, მედიუმის, ზომის და ნამუშევრის შესრულების წლის მითითება თითოეული ნამუშევრისთვის/ფოტოსთვის;

3. განაცხადების შერჩევის პროცესი:
განაცხადების განხილვა და მონაწილეთა შერჩევა ხორციელდება ორგანიზატორის მიერ დაკომპლექტებული საკურატორო/სელექციის კომიტეტის მიერ.
შეფასება ეფუძნება შემდეგ კრიტერიუმებს:
ა) ნამუშევრების კონცეფცია, შინაარსობრივი ღირებულება და იდეის განვითარება;
ბ) ორიგინალურობა, ინდივიდუალური მხატვრული ხედვა და ავტორის უნარი შექმნას გამორჩეული ვიზუალური ენა;
გ) შესრულების ხარისხი, რაც მოიცავს ტექნიკურ ოსტატობას, მასალების პროფესიონალურ გამოყენებას, ნამუშევრის დასრულებულობას და მის ვიზუალურ/ფიზიკურ პრეზენტაციას;
დ) შესაბამისობა ღონისძიების კონცეფციასთან, ხედვასთან და საერთო საგამოფენო სტანდარტებთან;

ორგანიზატორი იტოვებს უფლებას, უარი განაცხადოს ნებისმიერ განაცხადზე დამატებითი განმარტების გარეშე.

4) წარმოდგენილი ნამუშევრების რეალიზაცია და კომერციული პირობები
ა) თითოეული ხელოვნების ნიმუში, რომელიც წარმოდგენილ იქნება TYAM-ზე უნდა იყოს განსაზღვრული რეალიზაციისთვის. თითოეული ნამუშევრის გასაყიდი ფასი წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული და არ უნდა აღემატებოდეს 2 000 ევროს.
გ) მონაწილე სრულად არის პასუხისმგებელი საკუთარი ნამუშევრების გამოფენასა და რეალიზაციაზე, მათ შორის:

- გაყიდვების პროცესის მართვაზე;
- ყველა შესაბამისი გადასახადის, მოსაკრებლისა და ფინანსური ვალდებულების შესრულებაზე;
- ყველა საჭირო ნებართვის ან/და ლიცენზიების მოპოვებაზე;
- ორგანიზატორი არ აგებს პასუხს მონაწილესა და მყიდველს შორის წარმოშობილ დავებზე.

დ) აკრძალულია აგრესიული, მომაბეზრებელი ან არასათანადო გაყიდვების პრაქტიკა, მათ შორის ვიზიტორებზე ზეწოლის ან არასასურველი კომერციული კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმა.
ე) მონაწილეს უფლება აქვს განახორციელოს საკუთარი ნამუშევრების რეკლამირება მხოლოდ მისთვის გამოყოფილ საგამოფენო სივრცეში და მხოლოდ იმ ნამუშევრებთან მიმართებით, რომლებიც შერჩეულია TYAM-ისთვის, შესაბამისი ავტორის/მხატვრის იდენტიფიკაციით.
ვ) მონაწილე ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ წარმოდგენილი ნამუშევრები და ორგანიზატორისთვის მიწოდებული მასალები არ არღვევს მესამე პირის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს. აღნიშნული უფლებების დარღვევით გამოწვეული ნებისმიერი ზიანი და სამართლებრივი პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მონაწილეს.
ზ) ღონისძიების ფარგლებში დასაშვებია ფოტო და/ან ვიდეო გადაღება. გადაღებული მასალა შეიძლება მოიცავდეს მონაწილეებს, მათ წარმომადგენლებს, სტენდებსა და წარმოდგენილ ნამუშევრებს.
თ) მონაწილეებს ეკრძალებათ ხელი შეუშალონ ან რაიმე ფორმით დააბრკოლონ ორგანიზატორის ან მის მიერ აკრედიტებული მედიის წარმომადგენლების მიერ ფოტო-ვიდეო გადაღების პროცესს.
ი) მონაწილე წინასწარ აცხადებს თანხმობას, რომ ორგანიზატორმა აღნიშნული ფოტო და ვიდეო მასალა გამოიყენოს კომერციული, სარეკლამო, მარკეტინგული და საინფორმაციო მიზნებისთვის, ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე, დროისა და ტერიტორიის შეზღუდვის გარეშე.
კ) მონაწილე ვალდებულია უზრუნველყოს გამოფენილი ნამუშევრების უსაფრთხოება გამოფენის მიმდინარეობის პერიოდში. ორგანიზატორი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ღამის საათებში, როდესაც გამოფენა დაკეტილია. მონაწილე ვალდებულია გამოყოს მინიმუმ ერთი პირი სტენდის სამეთვალყურეოდ და არ დატოვოს სტენდი უყურადღებოდ. ორგანიზატორი თავისუფლდება ყველა და ნებისმიერი პასუხისმგებლობისგან, გარდა იმ შემთხვევისა როცა ზიანი დადგა ორგანიზატორის ბრალეული ქმედების შედეგად.
ლ) მონაწილე არ არის უფლებამოსილი მისთვის განკუთვნილი სტენდი ან/და მისი ნაწილი გადასცეს მესამე მხარე(ებ)ს მიერ, იქნება ეს გარკვეული საფასურის სანაცვლოდ თუ მის გარეშე.

5) კონტენტის შეზღუდვები

მონაწილე ვალდებულია არ წარადგინოს ნამუშევრები, რომლებიც:
ა) შეიცავს სიძულვილის ენას, დისკრიმინაციულ, შეურაცხმყოფელ ან დამამცირებელ შინაარსს ნებისმიერი პირის ან ჯგუფის მიმართ (მათ შორის, მაგრამ

არა მხოლოდ, რასის, ეთნიკური კუთვნილების, სქესის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა ნიშნის საფუძველზე);
ბ) წარმოადგენს ძალადობის, თვითდაზიანების, პორნოგრაფიის ან სხვა ეთიკურად მიუღებელი ან საზოგადოებრივად შეუფერებელი შინაარსის პროპაგანდას;
გ) არღვევს მოქმედ კანონმდებლობას, საჯარო წესრიგს ან მესამე პირის უფლებებს (მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების, პერსონალური მონაცემების, გამოსახულების ან რეპუტაციის უფლებებს);
დ) შეიცავს კომერციულ, სარეკლამო ან პროპაგანდისტულ ელემენტებს, რომლებიც არ შეესაბამება ღონისძიების მხატვრულ და კურატორულ კონცეფციას;
ე) შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც შეურაცხმყოფელი, პროვოკაციული ან შეუფერებელი ფართო აუდიტორიისთვის, მათ შორის არასრულწლოვნებისთვის;
ვ) წარმოადგენს ბიოლოგიურად, ქიმიურად ან ფიზიკურად საშიშ მასალას ან ქმნის საფრთხეს ვიზიტორების, მონაწილეების ან საგამოფენო სივრცისთვის;
ზ) ტექნიკურად არ შეესაბამება საგამოფენო სივრცის უსაფრთხოების, სანიტარულ ან ოპერაციულ მოთხოვნებს;
თ) არ შეესაბამება ღონისძიების კონცეფციას, კურატორულ ხედვას ან პროფესიულ სტანდარტებს;
ი) შექმნილია ხელოვნური ინტელექტის მიერ.

შენიშვნა: <u>ორგანიზატორი უფლებამოსილია საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, ნებისმიერ ეტაპზე (მათ შორის ღონისძიების მიმდინარეობისას), მოხსნას ან უარი განაცხადოს ისეთი ნამუშევრის გამოფენაზე, რომელიც არღვევს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს ან სხვაგვარად მიიჩნევა შეუსაბამოდ.</u>
<u>მონაწილე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს ორგანიზატორის მოთხოვნა ასეთი ნამუშევრის მოხსნის ან ჩანაცვლების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორგანიზატორი უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის მონაწილის ღონისძიებიდან მოხსნა, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე.</u>

6) მონაწილეობის ვადები და გადახდის პირობები:
რეგისტრაციის ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს დასტურის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
მონაწილეობისთვის საჭირო ვადები და პირობები:

ადგილმდებარეობა: თბილისი, შოთა რუსთაველის გამზირი N6, ა(ა)იპ „ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“
თარიღები:
წინასწარი ჩვენება და VIP გახსნა: 25 სექტემბერი 11:00 AM – 3:00 PM
გახსნა დამთვარიებელთათვის 25 სექტემბერი 4:00 PM
საგამოფენო საათები: 11:00 AM- 8:00 PM

TYAM 2026-ის განაცხადის ფორმებისა და დეტალური პირობების შესახებ ინფორმაციის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ჩვენი ვებგვერდიდან: www.tyam.ge

დამატებითი მომსახურების დამატებითი განათება, შტეფსელის როზეტები და ავეჯი, ღირებულების და პირობების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტექნიკური სახელმძღვანელოდან, რომელიც დაეგზავნება ყველა მონაწილეს.

თქვენს განაცხადთან დაკავშირებით შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნებისმიერ დროს! ელ ფოსტის info@tyam.ge საშუალებით

7) სტენდისთვის განკუთვნილი სივრცეების გამოყოფა:

სტენდისთვის განკუთვნილი სივრცეების გამოყოფა უმთავრესად დამოკიდებულია რეგისტრირებული ექსპონატების კლასიფიკაციაზე, ასევე მონაწილესა და ორგანიზატორს შორის მიმდინარე განხილვების შედეგებსა და მიღწეულ შეთანხმებებზე. არ არსებობს სტენდის ზომასთან დაკავშირებული შეზღუდვა იმ აპლიკანტისთვის, რომელიც დააკმაყოფილებს მონაწილეობისათვის განსაზღვრულ ოფიციალურ და მატერიალურ პირობებს. თუმცა, საგამოფენო დარბაზებს გააჩნია წინასწარ განსაზღვრული გეგმა და ზოგიერთი სტენდის შეცვლა შეუძლებელია. „კუნძულის ტიპის“ (ოთხივე მხრიდან ღია) სტენდები, რომელიც განთავსებულია საგამოფენო დარბაზის შუაგულში შესაძლოა დაიყოს მონაწილეებს შორის ან მოხდეს ერთ სტენდად გაერთიანება, ხოლო მათი ზომა, ფორმა და ადგილმდებარეობა უნდა დარჩეს უცვლელი. სტენდის ზომა სიმაღლე 2,50 მ, სიგანე 2მ

ორგანიზატორის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს TYAM-ის კარგად ორგანიზებული და სტრუქტურირებული დაგეგმარება. დაუშვებელია გამოყოფილი სტენდების ან მისი ნაწილის გადაცემა მესამე მხარეებისთვის მონაწილეების მიერ, იქნება ეს გარკვეული საფასურის სანაცვლოდ თუ მის გარეშე. ერთობლივი სტენდის დამტკიცება უნდა მოხდეს ორგანიზატორის მიერ, რადგანაც გამოყოფისას აღნიშნული მიიჩნევა ერთ სტენდად. თუმცა თითოეული მონაწილე ვალდებულია წარადგინოს დამოუკიდებელი განაცხადი და გადაიხადოს ყველა შესაბამისი განაცხადი.

მონაწილე დაუყოვნებლივ იქნება ინფორმირებული იმ შემთხვევაში თუ სტენდის სივრცე არ არის ხელმისაწვდომი ორგანიზატორისგან დამოუკიდებელი მიზეზების

გამო. ასეთ შემთხვევაში, მოხდება მონაწილისთვის სხვა ვარიანტის შეთავაზება, ხოლო უარის შემთხვევაში მას გააჩნია მონაწილეობის საფასურის უკან დაბრუნების უფლება. ამ შემთხვევაში, მონაწილეს არ აქვს იმ ზარალზე პრეტენზიების გამოხატვის უფლება, რომელიც აღემატება აღნიშნულ ანაზღაურებას.

8) გაუქმება და შეწყვეტა:

ა) მონაწილეს უფლება აქვს გააუქმოს განაცხადი მხოლოდ ორგანიზატორისგან ოფიციალური დასტურის წერილის მიღებამდე. დასტურის მიღების შემდეგ, მონაწილე კარგავს განაცხადის გაუქმების ან მონაწილეობაზე უარის თქმის უფლებას, გარდა წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული გამონაკლისებისა.

ბ) დასტურის მიღების შემდეგ განაცხადის გაუქმების ან ღონისძიებაში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში, ორგანიზატორი იტოვებს უფლებას არ დააბრუნოს უკვე გადახდილი თანხები, მათ შორის სააპლიკაციო ან სხვა ადმინისტრაციული საფასურები.

გ) მონაწილე, რომელმაც მიიღო მონაწილეობაზე თანხმობა, ვალდებულია სრულად დაფაროს ყველა გათვალისწინებული გადასახადი და ასევე აუნაზღაუროს ორგანიზატორს ნებისმიერი დამატებითი ხარჯი, რომელიც წარმოიშობა მისი მხრიდან ღონისძიებაში მონაწილეობის გაუქმების ან არდასწრების შედეგად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი და დასაბუთებული გარემოებებით.

დ) მონაწილის მიერ გაუქმების შემთხვევაში მოქმედებს შემდეგი ფინანსური პირობები:

- ღონისძიების დაწყებამდე 60 ან მეტი დღით ადრე გაუქმების შემთხვევაში, მონაწილე ვალდებულია გადაიხადოს მონაწილეობის საფასურის 30%;
- ღონისძიების დაწყებამდე 30-60 დღით ადრე გაუქმების შემთხვევაში, მონაწილე ვალდებულია გადაიხადოს მონაწილეობის საფასურის 50%;
- ღონისძიების დაწყებამდე 30 დღეზე ნაკლებ ვადაში გაუქმების შემთხვევაში, მონაწილე ვალდებულია სრულად გადაიხადოს მონაწილეობის საფასური;

დ) იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე არ გამოცხადდება ღონისძიებაზე წინასწარი წერილობითი შეტყობინების გარეშე, ეს ჩაითვლება გაუქმებად ზემოაღნიშნული პირობების შესაბამისად და დაექვემდებარება სრულ ფინანსურ პასუხისმგებლობას.

ე) ორგანიზატორი უფლებამოსილია შეწყვიტოს მონაწილესთან თანამშრომლობა იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე არღვევს წინამდებარე პირობებს ან ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევაში, მონაწილეს არ ეძლევა გადახდილი თანხების დაბრუნების უფლება. აღნიშნული გავლენას არ ახდენს ზარალთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე.

ვ) ორგანიზატორის მიერ ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, მონაწილეს აქვს უფლება მოითხოვოს უკვე გადახდილი თანხის პროპორციული ანაზღაურება.
ზ) გადახდასთან დაკავშირებით ვადების დაუცველობის შემთხვევაში, ორგანიზატორი იტოვებს ხელშეკრულების შეწყვეტისა და დაჯავშნილი სივრცის სხვაგვარად განკარგვის უფლებას.

9) შენახვა და დაგვიანებული მიწოდება: დაცული საერთო საცავი ხელმისაწვდომია ყველა მონაწილისთვის . აღნიშნულ საცავში შესვლის უფლება აქვს მოქმედი მონაწილის საშვის მქონე პირებს. შენახულ ნივთებზე პასუხისმგებელია მონაწილე. დიდი ზომის ექსპონატების შემდგომი მიწოდება უნდა განხორციელდეს გამოფენა გაყიდვის სამუშაო საათების შემდეგ.

10) განათება, ელექტროგაყვანილობა, დასუფთავება: ელექტრო კავშირების მონტაჟი უნდა განხორციელდეს მხოლოდ ორგანიზაციის ოპერაციების გუნდის ან ორგანიზატორის მიერ უფლებამოსილი კომპანიის მიერ ოპერაციების გუნდის ზედამხედველობით. დაცული უნდა იქნეს ხანძარსაწინააღმდეგო, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის წესები. ორგანიზატორი პასუხისმგებელია ტერიტორიის, დარბაზებისა და გასასვლელების დასუფთავებაზე. გამოფენა გაყიდვის გახსნამდე სტენდის ტერიტორიის საბოლოო დასუფთავების გარდა, სივრცის დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან ექსპონენტები. ამ უკანასკნელთ შეუძლიათ დასუფთავების სერვისის შეკვეთა ორგანიზატორის მიერ მათთვის მიწოდებული „დამატებითი მომსახურების ნუსხის“ გამოყენებით.

11) უსაფრთხოება, დაზღვევა, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება
ა) ორგანიზატორი უზრუნველყოფს საგამოფენო პავილიონებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ზოგად უსაფრთხოებას, მათ შორის შესასვლელების კონტროლსა და მონიტორინგს. აღნიშნული ზომები მიზნად ისახავს საერთო უსაფრთხოების უზრუნველყოფას და არ ვრცელდება ინდივიდუალური სტენდების, ექსპონატების ან მონაწილეთა კუთვნილი ნივთების დაცვაზე.
ბ) ტერიტორიაზე დაშვებულია მხოლოდ ის პირები, რომლებიც ფლობენ მოქმედ შესასვლელ ბილეთს ან მონაწილის საშვს. უსაფრთხოების სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშნული დოკუმენტები სავალდებულოა წარსადგენად.
გ) მონაწილე სრულად არის პასუხისმგებელი მის მიერ წარმოდგენილი ნამუშევრების, სტენდის, აღჭურვილობისა და სხვა კუთვნილი ნივთების უსაფრთხოებაზე, როგორც მონტაჟის, ასევე გამოფენისა და დემონტაჟის პერიოდში.

მონაწილეებს რეკომენდირებულია უზრუნველყონ შესაბამისი სადაზღვევო დაფარვა, რომელიც მოიცავს აღნიშნულ პერიოდებსა და დაკავშირებულ რისკებს.
დ) სტენდის დამატებითი უსაფრთხოების უზრუნველყოფა (მათ შორის დაცვის პერსონალის დაქირავება) დასაშვებია მხოლოდ ორგანიზატორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის/კომპანიის მეშვეობით.
ე) ორგანიზატორი არ აგებს პასუხისმგებლობას ექსპონატების, ტექნიკური აღჭურვილობის ან მონაწილეთა და მათთან დაკავშირებული პირების ნივთების დაკარგვაზე, დაზიანებაზე ან განადგურებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი პირდაპირ გამოწვეულია ორგანიზატორის განზრახი ქმედებით ან უხეში დაუდევრობით.
ვ) მონაწილე ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს ორგანიზატორს ყველა და ნებისმიერი ზიანი, ზარალი ან ხარჯი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მესამე პირების მხრიდან მონაწილის საქმიანობასთან დაკავშირებით, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ:

- მონაწილის მიერ წარმოდგენილი ნამუშევრების, სტენდის დიზაინის ან კონტენტის გამო;
- მესამე პირის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის შედეგად (საავტორო უფლება, სავაჭრო ნიშანი, გამოსახულების უფლება და სხვა);
- მოქმედი კანონმდებლობის, რეგულაციების ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნების დარღვევის გამო;

აღნიშნული ანაზღაურების ვალდებულება მოიცავს ყველა დაკავშირებულ ხარჯსა და დანახარჯს, მათ შორის და არა მხოლოდ, იურიდიულ მომსახურებას, სასამართლო ხარჯებსა და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.
ზ) ორგანიზატორი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია მისი განზრახი ქმედებით ან უხეში დაუდევრობით, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც ზიანი ეხება ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ფიზიკურ უსაფრთხოებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
თ) სხვა ყველა შემთხვევაში, მათ შორის არაპირდაპირი ზიანის, შემოსავლის დაკარგვის, რეპუტაციული ზიანის ან მესამე პირებთან დაკავშირებული დავებისას, ორგანიზატორი პასუხისმგებლობას არ იღებს.
ი) ორგანიზატორის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება იმ ზიანით, რომელიც გონივრულად შეიძლება ყოფილიყო განჭვრეტადი ხელშეკრულების დადების მომენტში. აღნიშნული შეზღუდვები ვრცელდება ორგანიზატორის თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, კონტრაქტორებსა და სხვა ჩართულ პირებზე.
კ) ორგანიზატორი უფლებამოსილია ფორსმაჟორული გარემოებების ან მისგან დამოუკიდებელი მიზეზების არსებობის შემთხვევაში შეცვალოს, გადადოს, შეამოკლოს, გააფართოვოს ან გააუქმოს ღონისძიება ან მისი ნაწილი. ასეთ

შემთხვევაში მონაწილეს არ გააჩნია ორგანიზატორის მიმართ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.
ლ) ორგანიზატორი არ უზრუნველყოფს ინდივიდუალური სტენდების ან ექსპონატების სპეციალურ დაზღვევას. შესაძლოა არსებობდეს ღონისძიების ზოგადი დაზღვევა, რომელიც მოიცავს სტანდარტულ რისკებს (მათ შორის ხანძარი, ქურდობა, დაზიანება და სხვა), თუმცა აღნიშნული არ ათავისუფლებს მონაწილეს საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით დამოუკიდებელი დაზღვევის უზრუნველყოფის ვალდებულებისგან.

12) პერსონალური მონაცემების დამუშავება
ა) მონაწილე თანხმობას აცხადებს, რომ ორგანიზატორმა დაამუშავოს მის მიერ მიწოდებული პერსონალური მონაცემები განაცხადის მიღების, შეფასების, ადმინისტრირების, კომუნიკაციისა და ღონისძიების ორგანიზების მიზნებისთვის.
ბ) მონაცემების დამუშავება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად.
ორგანიზატორი უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხოებას და იღებს ყველა გონივრულ ზომას მათი დაცულობის უზრუნველსაყოფად. პერსონალური მონაცემები არ გადაეცემა მესამე პირებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ღონისძიების ორგანიზებისთვის ან მოთხოვნილია კანონით.

13) ინტერესთა კონფლიქტი და გარანტიები
მონაწილე ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ:
· მის მიერ წარმოდგენილი ყველა ნამუშევარი არის მისი ავტორობის ან კანონიერად მოპოვებული უფლებით წარმოდგენილი;
· ნამუშევრები არ არღვევს მესამე პირის ინტელექტუალური საკუთრების, პერსონალური მონაცემების, გამოსახულების ან სხვა კანონით დაცულ უფლებებს;
· წარმოდგენილი ნამუშევრები არ წარმოადგენს მიმდინარე ან პოტენციური სამართლებრივი დავის საგანს;
· მას გააჩნია ყველა საჭირო უფლება და ნებართვა ნამუშევრების გამოფენისა და რეალიზაციისთვის;
შენიშვნა: მონაწილე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ორგანიზატორს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება გავლენას ახდენდეს ზემოაღნიშნულ გარანტიებზე.
ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში, სრული სამართლებრივი და ფინანსური პასუხისმგებლობა ეკისრება მონაწილეს, მათ შორის მესამე პირების პრეტენზიებიდან გამომდინარე ზარალის ანაზღაურება.

14) მონტაჟი და დემონტაჟი:
საგამოფენო სტენდი და ყველა სხვა შენახული ხელოვნების ნიმუში მზად უნდა იყოს შეფასებისთვის მაქსიმუმ 24/09/2026 16:00 სთ. ხელოვნების ნიმუშები სრულად უნდა იქნეს წარდგენილი ორგანიზატორისთვის, მათ გასაყიდად შეთავაზებამდე. წინამდებარე წესის დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს ღონისძიებიდან გარიცხვა.
მონტაჟი უნდა დასრულდეს არა უგვიანეს 24/09/2026 16:00 სთ სთვის. აღნიშნული დროისთვის ასევე დასრულებული უნდა იყოს გასასვლელებიც.

საგამოფენო სტენდის დემონტაჟი არ უნდა დაიწყოს ღონისძიების დასრულებამდე ანუ 27/09/2026 20:00 საათამდე, ხოლო დემონტაჟი უნდა დასრულდეს 28/09/2026 14:00 საათამდე.

15) მონაწილეთა საშვები:
თითოეული მონაწილე მიიღებს 2 საშვს რომელიც ძალაშია სტენდის აგების სამუშაოების დაწყების პირველი დღიდან მისი დემონტაჟის უკანასკნელ დღემდე. აღნიშნული საშვები განკუთვნილია იმ ადამიანების მიერ ექსკლუზიურად გამოყენების მიზნით, რომელთა სახელზეც გაიცა და დაუშვებელია მათი გადაცემა.

16) დასკვნითი დებულებები:
ა) წინამდებარე დოკუმენტზე (მონაწილეობის პირობები) ხელისმოწერით, მონაწილე აცნობიერებს და ეთანხმება მასში მითითებულ პირობებს. მონაწილეობის ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის შემდეგ ყველა პირობა სავალდებულო და სამართლებრივი ძალის მქონეა მხარეებისთვის.
ბ) მოქმედ კანონმდებლობასთან, გაიდლაინებთან ან/და სხვა რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელია მონაწილე. ორგანიზატორს არ ეკისრება პასუხისმგებლობა მონაწილისთვის წარმოქმნილ ზიანსა და სხვა ხარჯებზე.
გ) ორგანიზატორი უფლებამოსილია გადადოს, შეამოკლოს, გააფართოვოს ან გააუქმოს ღონისძიება, ასევე დროებით ან სამუდამოდ შეწყვიტოს იგი, ინდივიდუალურად ან ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე, თუკი ამგვარი ქმედების საჭიროება გამოწვეულია ისეთი გაუთვალისწინებელი მოვლე ნების გამო როგორიცაა: ფორსმაჟორული ვითარება, სტიქიური უბედურებები, საომარი მოქმედებები, სახალხო მღელვარებები, გაფიცვები, მოძრაობის ან კომუნიკაციის მოშლა ან დაბრკოლება.
დ) გადადების, შემოკლების, გაფართოების ან დასრულების შემთხვევაში მონაწილეს არ გააჩნია მისთვის აღნიშნულის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. მონაწილეს გააჩნია ხელშეკრულების

გაუქმების უფლება, იმ შემთხვევაში თუ ხსენებული ქმედებების გამო იგი დაკარგავს ღონისძიებაში მონაწილეობის ინტერესს და თუკი მონაწილე უარს იტყვის აღნიშნულის შედეგად მისთვის გამოყოფილი სტენდისთვის განკუთვნილ სივრცეზე. ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე წერილობით განაცხადის გაკეთება. ღონისძიების გაუქმების შემთხვევაში, ორგანიზატორს არ ეკისრება პასუხისმგებლობა მონაწილის მხრიდან წარმოქმნილ ზარალზე და/ან სხვა დანაკარგებზე.

ე) განაცხადის ფორმაზე ხელისმოწერით აპლიკანტი აღიარებს და სავალდებულო ძალის მქონედ მიიჩნევს ორგანიზატორის მიერ განსაზღვრულ მონაწილეობის პირობებს, ტექნიკურ გაიდლაინებს და სახელშეკრულებო ურთიერთობებთან დაკავშირებულ სხვა რეგულაციებს. სახელშეკრულებო ურთიერთობები ექვემდებარება მხოლოდ აღნიშნულ პირობებს. ექსპონენტის მხრიდან წარმოდგენილი განსხვავებული ან დამატებითი პირობები არ მიიჩნევა ხელშეკრულების ნაწილად მაშინაც თუკი ორგანიზატორი პირდაპირ არ ეწინააღმდეგება მათ. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება გადახდის განსხვავებულ პირობებს. აღნიშნული დებულებების ნაწილობრივი გაუქმება ან მათში ხარვეზების არსებობა გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების დანარჩენ დებულებებზე. ასეთ შემთხვევაში, მხარეების მიერ უნდა მოხდეს ძალადაკარგული დებულების ისეთი დებულებით ჩანაცვლება ან ხარვეზის გამოსწორება იმგვარი დებულებით, რომელიც მხარეებს კომერციული მიზნის განხორციელებას უწყობს ხელს.

ვ) ორგანიზატორი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს საგამოფენო სივრცის განლაგება, პროგრამა ან სხვა ორგანიზაციული დეტალები.

ზ) მონაწილე ვალდებულია დაიცვას პროფესიული ეთიკისა და ქცევის ნორმები ღონისძიების განმავლობაში.

თ) შესრულების ადგილს წარმოადგენს ა(ა)იპ „ახალგაზროდბის ეროვნული სასახლის“ შენობა. მონაწილესა და ორგანიზატორს შორის სამართლებრივი ურთიერთობები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა და ნებისმიერი დავა ექვემდებარება საქართველოს სასამართლოსა და მოსამართლეების იურიდიქციის სფეროს.

კატალოგი: TYAM ის მიერ უზრუნველყოფილი იქნება გამოფენა გაყიდვის ონლაინ კატალოგი. აღნიშნული კატალოგის ან პუბლიკაციების ხარისხში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ მონაწილეებმა იქნება ეს ბეჭდური, ელექტრონული თუ გადმოსაწერი ფორმით, რაც წარმოდგენილი უნდა იქნეს გრაფიკული და წერილობითი მასალების სახით მისი ხარისხისა და სიზუსტის გარანტიის უზრუნველყოფის მიზნით. მონაწილეების მიერ დაცული უნდა იქნეს აღნიშნული

მასალების მიწოდებისთვის განკუთვნილი ვადები.

დამატებითი მომსახურების, როგორიცაა დამატებითი განათება, ელექტრო წერტილები და ავეჯი, პირობები და ფასები მოცემულია ტექნიკურ სახელმძღვანელოებში, რომლებიც გაეგზავნებათ შერჩეულ მონაწილეებს.

დასტური და თანხმობა:

წინამდებარე სარეგისტრაციო ფორმის შევსებითა და მისი ელექტრონული საშუალებით ორგანიზატორისთვის გაგზავნით, აპლიკანტი ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო განაცხადში და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში მითითებულ ყველა პირობას, წესსა და რეგულაციას, ესმის მათი შინაარსი და ეთანხმება მათ უპირობოდ.

აპლიკანტი ასევე ადასტურებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არის სრული, ზუსტი და უტყუარი, და იღებს ვალდებულებას, ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში დროულად აცნობოს ორგანიზატორს.

სარეგისტრაციო ფორმის გაგზავნა ითვლება აპლიკანტის მიერ ნებაყოფლობით გამოხატულ თანხმობად, რომელიც იწვევს მისთვის შესაბამისი სამართლებრივი ვალდებულებების წარმოშობას. აღნიშნული ქმედება ძალითა და ეფექტით უტოლდება ხელმოწერილ დოკუმენტს და სავალდებულოა მხარეებისთვის.

აპლიკანტი თანხმობას აცხადებს, რომ ორგანიზატორმა გამოიყენოს მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია განაცხადის განხილვის, ღონისძიების ორგანიზებისა და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცესების ფარგლებში.

იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი არღვევს წინამდებარე პირობებს ან აწვდის არაზუსტ/შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, ორგანიზატორი უფლებამოსილია გააუქმოს განაცხადი ან შეწყვიტოს მონაწილეობა, ყოველგვარი დამატებითი ვალდებულების გარეშე.